**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 229 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 229

**წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. ,,ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და სალამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

# სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შესაკერად

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

## ზაალიშვილის

გადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში.

(2—2).

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

---

## საჭიროა მასწავლებელი

**წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## სკოლებისათვის

გომარეთში და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა).

მასწავლებელს ექნება გომარეთში ჯამაგირად თვეში 35 მან. და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.

მსურველთ უნდა წარმოადგინონ დოკუმენტები და თხოვნები ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (Тифлисъ, общество грамотности).

(3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 7 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

## ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტომკევიჩისა, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, დემიანენკო, სპერანსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი. კაპელმეისტერი ნიკ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

პარასკევს, 8 ოკდომბერს,

3-მე გასტროლი ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა.

წარმოდგენილი იქნება

## კარმენი

ოპერა 4 მოქმ. მუს. ბიზესი.

---

შაბათს, 9 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენ. იქნება

## პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნერონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა და «**ვერტერი**», მუსიკა მასნესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—16).

---

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი**—ბავშვებისა, $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

**ლ. ი. კამოევი**—საშარდესი, ვენერიული და ხირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

**მ. ი. კიმონტი**—ხირურგია—კვირაობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—სიფილისისა და კანისა, $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ.

**ზრ. მ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**ლ. მ. მონინი.** ქალისა, საბებ. და ბავშვ. და შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 სათ.

**საღამოთი:**

**ზრ. მ. სოზოლევსკი**—ქირურგია და ორთოპედია 5—6 სათ.

**ტ. ს. დავიდოვი**—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კრაოტით.

ტელეფონი № 274

(წ.)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი პანსიონისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова

წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ სადამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

---

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.


# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ვიკონტ ჰაიაშის აზრი.—კონტრ-ადმირალ თავ. უხტომსკის საქმე.—პორტ-არტურთან.—წვრილი ცნობანი.

ჰაიაშის აზრით, ნახევარიც არ არის მართალი, იმისი რომ ვითომ ზარალი იაპონიისა აუარებელია. პორტ-არტურთან ზარალი აუცილებელი იყო და ამ ზარალს იაპონია ადვილად აიტანს. რუსნიც, რომელნიც დიდის მამაცობით იბრძოდნენ და უფრო სამძიმო გარემოებაშიაც, ნაკლებ არ დაზარალდნენ. პორტ-არტურის ესკადრა მალე ეცდება გაარღვიოს ალყა ჩვენის გემებისა და ეს იქმნება იმის უეჭველი ნიშანი, რომ ციხე დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი და მისი დამხობა აუცილებელია. რაიცა შეეხება იმას, დიდხანს გასტანს თუ არა ომი, ამაზედ უნდა ვსთქვა, რომ ეგ რუსეთზეა დამოკიდებული. ვიდრე ის არ მოინდომებს მშვიდობის ჩამოგდებას, იაპონია იძულებული იქმნება იბრძოლოს. თუ იტყვის ვინმე, მაშინ ხომ დიდი ხანი გაივლისო, ამის პასუხად ითქმის ჰოცა და არაცა. ორი რამ გვავიწყდება ხოლმე საზოგადოდ. ერთი ისა, რომ ჩვენც ისევე მზადა ვართ, როგორც რუსნი ხანგრძლივის ომისათვის; მეორე ისა, რომ დაუსრულებელი ქვეყანაზედ არა არის-რა. ჩვენ, იაპონელები არა ვართ წინააღმდეგნი კარგის ჰექა-ქუხილისა, რადგან ვიცით, რომ ჰექა-ქუხილი ჰაერაა სწმენდავს და მამული კარგს მოსავალს იძლევა, რაკი ხელ-ახლად გამობრწყინდება მზე. ყვითელის შიშისას რომ ლაპარაკობენ, ეგ ხომ სასაცილოა და სხვა არაფერი. იაპონია ისევე იქცევა, როგორც მუდამ მოქცეულა ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ერი, ესე იგი, ებრძვის იმათ, ვინც წინ გადაეღობება. თუ იაპონია დიდ სახელმწიფოდ გარდაიქცევა შორეულ აღმოსავლეთში, ევროპასაც დიდი სარგებლობა ექმნება. ჩვენ მაშინ დიდს სიკეთეს გავუწევთ ევროპას. მხარს დავუჭერთ, რომ ცივილიზაცია გაავრცელოს ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. „თავისუფალი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა და თავისუფლება ყველასათვის“,—აი რა იქმნება ჩვენი დევიზი მაშინ, როცა დადუმდება საომარი ძახილი „ბანზაისა“! რიღას შიშია მაშ? რასაც ჩვენ შევიძენთ, მთელი ქვეყნიერობაც იმას შეიძენს, იმიტომ რომ, ჩვენის ფიქრით, ერთად ერთი ღონე ჩვენის მდგომარეობის განკარგებისა არის გაღლოს კარი შორეულ აღმოსავლეთისა ევროპიელთ საქმიანობის უნარსა და კაპიტალებს. (ნოვ.).

—

მეტად საინტერესო ამბავს იუწყება «Echo de Paris»-ს კორესპონდენტი კონტრ-ადმირალის თავად უხტომსკის შესახებ.

საქმე ის არის, რომ პორტ-არტურის ესკადრის უფროსს ადმირალს ვიტგეფტს პეტერბურგიდან ბრძანება მოსვლია უთუოდ გაეყვანა ფლოტი პორტ-არტურიდგან და არამც და არამც არ დაბრუნდეთ უკან, რაც გინდ გასაჭირი დაგაყენოთ ტოგოს ესკადრამაო. როგორც მკითხველებმა იციან, ვიტგეფტმა თავის დროზე გაიყვანა ესკადრა პორტ-არტურიდგან, მაგრამ მოულოდნელად ადმირილი ტოგო თავს დაესხა რუსის ფლოტს თავის 54 გემით და საშინლად დაამარცხა: ზოგი გემი დაიღუპა, ზოგმა კი თავი შეაფარა სანეიტრალო ნავთსადგურებს, ხოლო თვითონ მამაცი ადმირალი ვიტგეფტი ბრძოლის დროს იაპონიის ყუმბარამ ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ვიტგეფტის შემდეგ ესკადრის უფროსობა თავად უსტომსკიზე გადავიდა, როგორც უფროსს აფიცერზე. კონტრ-ადმირალი უხტომსკი იმის მაგიერ, რომ ვლადივოსტოკისაკენ ან სხვა ნავთ-

სადგურებში წასულიყო გადარჩენილის ესკადრით ისევ პორტ-არტურს დაბრუნდა.

ეს გარემოება არაფრად ეჭაშნიკათ პორტ-არტურის დამცველებს და ამიტომ გენერალ სტესელის თავსმჯდომარეობით შესდგა სამხედრო სამსჯავრო თავად უხტომსკის საქციელის განსაკითხველად. სამხედრო სამსჯავრომ თავად უხტომსკის საქციელი ყოვლად უღირსად სცნო, ვითარცა რუსეთის დამამცირებელი და თვითონ უხტომსკი, როგორც ყოვლად შეუფერებელი ესკადრის უფროსობისათვის, გადააყენა თანამდებობიდგან, ხოლო ესკადრის უფროსობა ჩააბარა კაპიტან ვირენს, მიუხედავად იმისა, რომ ვირენი მეზღვაურთა უმრავლესობას სძულდა გადამეტებულის სასტიკობისათვის. სამხედრო კრებამ ვირენს კონტრ-ადმირალობა მიანიჭა და ეს ამბავი აცნობა ხელმწიფის მოადგილეს, გენერალ-ადიუტანტს ალექსეევს. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ ყოველივე ეს აცნობა პეტერბურგში, სადაც პორტ-არტურის მხედრობის გადაწყვეტილება მოიწონეს.

და მართლაც, როგორც მკითხველებმა იციან, ამ ერთის თვის წინად უმაღლესმა მთავრობამ პორტ-არტურის ესკადრის უფროსობა ვირენს ჩააბარა და თან კონტრ-ადმირალობა უბოძა. (სვეტ).

—

იტალიურ გაზ. «მატენ»-ის თანამშრომელს უნახავს რუსეთ-ჩინეთის სანავოსნო საზოგადოების ინსპექტორი ვერბლიუნსკი, რომელიც პორტ-არტურიდგან გამოპარულა ჩინურ ნავით. ვერბლიუნსკის უთქვამს, პორტ-არტურს ისე ვერ გაუჭირვებენ სიმშილით საქმეს, რომ დაჰნებდეს მტერსაო; იქ ბევრი სურსათ-სანოვაგეა და ყოველ დღე ახალ-ახალი მისდით ჩინური ნავებითაო. ქალაქში მხოლოდ 96 დედაკაცი დარჩა, რომელნიც წითელ ჯვრის საავადმყოფოებში მუშაობენ. მეციხოვნენი 23 ათასამდეა(?) და 16 ათასიც მეზღვაურია. ამავე გაზეთს ჩიფუდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ იაპონელთა ყუმბარებისაგან პორტ-არტურში დაინგრა აუარებელი კერძო სახლებიო. დალნიში ყოველ დღე მოჰყავთ დაჭრილი იაპონელები, რაც იმას ამტკიცებს, რომ ალყის შემომრტყმელი იაპონელთა ლაშქარი გულ-ხელ დაკრეფილი არ არის. როგორც ამას წინად პორტ-არტურიდგან მოსული ინჟენერი დოლინსკი ამბობს, მეციხოვნენი დარწმუნებულნი არიან, რომ კუროპატკინი ჩქარა მიეშველება და გამოიხსნის. როგორც ტოკიოდგან იუწყებიან, იაპონელთ ამ დღეებში ხელახლა დაუშენიათ ყუმბარები ზღვა-ხმელეთიდგან პორტ-არტურის ნავთსადგურისათვის, რომ საბოლოოდ გაანადგუროს ნავთსადგურში დარჩენილი რუსის ფლოტი. ამბობენ, ვითომ სამი რუსის გემი დაღუპეს იაპონელებმაო; გემების სახელს არ იუწყებიან. (ნოვ.).

—

იაპონელთ პორტ-არტურთან ხელთუგდიათ სურსათ-სანოვაგით დატვირთული ნავი, რომელიც პორტ-არტურის მეციხოვნეთათვის თურმე მიჰქონდათ. (იქვე).

—

მანჯურიის მეორე ლაშქრის სარდალი გენერალი ო. კ. გრიპენბერგი 10 ოკდომბერს მიემგზავრება მანჯურიაში. (რ.ვ).

## ტფილისი

*** გუშინ-წინ, 5 ოკდომბერს, მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძის სახელწოდების დღეს, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში წირვა და პარაკლისი გარდაიხადა ეგზარხოსმა ალექსიმ, სამღვდელოების თანამწირველობით. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ა. ა. ფრეზე, ტფ. გუბერნატორი, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, გენერალიტეტი და აუარებელი ხალხი. წირვის შემდეგ არსენალის მთაზედ 21-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ამავე დღეს პარაკლისები გარდაიხადეს სომხეთა ეკლესიებსა, შიათა და სუნთა მეჩეთებსა და ებრაელთა თორაში. დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, საღამოთი-გაჩირაღდნებული.

*** ოფიციალურის ცნობებით, 2 ოკდომბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 2 კაცი, გარდაცვლილა ერთი.

*** ორშაბათს, 4 ოკდომბერს, სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს. განსახილველად დანიშნული იყო 16 საქმე, რომელთაგანაც განიხილეს... არცერთი... მთელი სამი საათი ილაპარაკეს ქალაქის მამებმა ქალაქის საიურისკონსულტო ნაწილის მოწყობის თაობაზედ და ვერავითარს აზრს ვერ დაადგნენ. თავმჯდომარემ, მოურავის მოადგილემ თავადმა ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა ბევრი იყვირა, ბატონებო, მოითმინეთ, ნუ გარბიხართო, მაგრამ ჯერ თერთმეტი საათი არ იყო, რომ ხმოსნებმა იწყეს თითო-თითოდ გაპარვა! ერთის სიტყვით, ჩვენი საბჭო ახლოდგან მოყვარეს უჟენებს თვალს და შორიდგან—მტერს. უშედეგო სიტყვების ბრახა-ბრუხის მეტი არა ისმოდა-რა. შემდეგი კრება დანიშნულია დღეს, 7 ოკდომბერს. ვნახოთ, რას დაადგენენ ჩვენის ქალაქის მამები!..

*** ორშაბათს, 4 ოკდომბერს, საღამოს ჟამს, მოკლულ იქმნა თავ. თომა ციციშვილი, რომელმაც ამას წინად თავისი ცოლი მოჰკლა და რომელიც თავდებობით იყო გამოშვებული ციხიდგან. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

*** ქუთაისიდან «ცნობის ფურ.»-ს დეპეშით ატყობინებენ 5 ოკდომბერს: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა, უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანათი მოეხმარდეს სტიპენდიებს.

*** ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლ. ჯანდიერმა წარუდგინა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მომრიგებელ შუა-კაცებთან ერთად თავისნი მოსაზრებანი სოფლის სამმართველოთა ვოლოსტებად გადაკეთების თაობაზედ. ამავე საგანზედ საგუბერნიო სამმართველოში ტფ. გუბერნიის სხვა მაზრებიდანაც მოდის მოხსენებანი.

*** ამ შემოდგომაზედ განზრახვა აქვთ ტფილისში გამართონ ფოტოგრაფიულ სურათების გამოფენა. გამოფენის მოთავეთ განუზრახავთ წაიკითხონ სახალხო ლექციები ფოტოგრაფიულ საქმეთა მგობარეობის შესახებ. გამოფენის პროგრამის შემუშავებას უკვე შეუდგნენ.

*** 10 ოკდომბერს უნდა აკურთხონ ხარფუხის სკოლის ახლად აშენებული სადგომები.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ უკვე შეამოწმეს და გამოიკვლიეს მიკროსკოპიულად კერძო ფირმებისაგან წარმოდგენილი აბრეშუმის თესლი (გრენა). ეხლა ხსენებული სადგური შეუდგა იმ თესლის გამოკვლევას, რომელიც შიგ სადგურშივე დაუმზადებიათ.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა აცნობა ბ-ნ გუბერნატორს, მარიენფელდის ახალშენიდგან ვაზიანის სადგურამდე საშინელი ცუდი გზებიაო და სთხოვს, ჩქარა შეაკეთებინეთ, თორემ მიმოსვლა მეტად გაჭირდაო.

*** ტფილისის სახაზინო პალატამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, მიიღეთ ღონისძიებანი, რომ ახალციხის მაზრაში დროით მოახდინონ გარდასახადთა გაწერაო.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. კანდაურიდგან გვატყობინებენ, რომ იქ საქონლის ჭირი უკვე მოსპობილა და კარანტინი 27 სეკდემბერს გაუუქმებიათ

## საქართველოს ამბები

**დ. თიანეთი.** ნათქვამია: «საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო», სწორედ ასე მოსდით თიანელებს; ჯერ შარშან ვერ იყო კარგი მოსავალი, წლევანდელმა წელიწადმა ხომ უფრო ძალიან შეაფიქრიანა და ისედაც წელში მოხრილი ხალხი უარესად მოხარა. წელს ყანები თუმცა ფეხად მაღალი იყო, მაგრამ ხშირის წვიმების გამო აოდა და ძალიან სუსტი მარცვალი ჰქონდა. წინად თიანეთში გახურებული კალოობა იყო და წელს კი ათამდე მეკომურს არც კი ჰქონდა კალო გამართული. დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ წლევანდელმა მოსავალმა ოჯახი გამოჰკვებოს, ამიტომ გლეხებს იმედი სრულიად დაეკარგათ. ჯერ კარგ მოსავლიან წელიწადსაც არ მოსდით საკმარისი სარჩო და თითქმის ნახევარზედ მეტი ნაყიდ პურით ირჩენს თავს. რა უნდა ჰქნას ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გლეხმა? რით უნდა გასცეს პასუხი მღვდელს, მამასახლისს, ნაცვალს, გზირს, «ბოოჩიკს», «აცენჩიკებს», მტერს, მოკეთეს და სხვ. არც ტფილისია ახლო, რომ შეშა ან სხვა რაიმე სანოვაგე ჩაიტანონ და მით შეიმსუბუქონ გაჭირვებული მდგომარეობა. ბევრი გლეხი წავიდა კახეთში პურის სასყიდლად.

ეს სამი ოთხი წელია, რაც ყანებს უჩნდება რაღაც მოწითანო ჭია, რომელიც, როცა ყანა მომწიფდება, მუსრს ავლებს.

ლოთიკო გოჯაშვილი.

## რუსეთი

26 სეკდემბერს აკადემიკოსსა და პროფესორს ივანე რამაზის ძეს თარხნიშვილს წარმოუთქვამს სიტყვა იმ საზოგადოების კრებაზედ პეტერბურგში, რომელსაც აზრად აქვს დედაკაცის ჯანმრთელობის დაცვა. სიტყვა ჩვენის თანა-მემამულისა შეეხებოდა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰიგიენას მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს. პროფესორმა სთქვა, სხვათა შორის, რომ ჰიგიენის წესთა დაცვამ მიუნჰენში შეამცირა სიკვდილი, წელიწადში 3820 კაცით ნაკლები იხოცებაო. აგრედვე ძრიელ შეამცირა ავად-გახდომის რიცხვიცა. თვითეულ სიკვდილზედ მოდის 34 ავად-გახდომა. მარტო მიუნჰენში 120 ათასი ავად-გახდომა იქმნა თავიდან აცილებული ჰიგიენის წესთა დაცვითა. ახლა იანგარიშეთ, რომ, როგორც სტატისტიკა ამტკიცებს, თითო ავად-გახდომა აკარგვინებს კაცს ორთა შუა რიცხვით 20 დღეს მაინცა, მაშასადამე, კარგმა ჰიგიენამ შესძინა მიუნჰენს წელიწადში $2^1/_2$ მილიონი სამუშაო დღე. ჰიგიენის უცოდნელობა და უგულებელ-ყოფა სიცოცხლის ხანგრძლივობასაც ამოკლებს. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელიწადია. აი როგორ: დამტკიცებულია, რომ კაკანტელი ძვლად იქცევა ადამიანის აგებულებაში მაშინ, როცა ის 20 წლისა სრულდება. უნდა გამრავლდეს ეს რიცხვი 5-ითა, გამოვა 100. ასეთს ხანს-კი მიაღწევს ხოლმე ძლივს ხუთი კაცი ორ მილიონ მცხოვრებელში. ბავშვების სიკვდილის სიხშირე ყველგან გაუნათლებელ ქვეყნებში ჰიგიენის დაუცველობის ბრალია. მართალს ამბობს ერთი მკურნალი, რომ ყოველ წლივ მილიონ ნახევარ ხალხსა ვმარხავთ ზედ-მეტსაო.

— იმავე თარხნიშვილს შეეკითხნენ დეპეშით შორეულ-აღმოსავლეთიდან, რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ მორჩეს ლიდიტის გაზით გაბრუებული და როგორ უნდა გაიწმინდოს ჰაერი, მოშხამული იმავე ლიდიტითაო. პროფესორს მიუწერია, ლიდიტით გაბრუებულს მოარჩენს, თუ ხელოვნურად ასუნთქებინებთ და შეაფრქვევთ კან-ქვეშ რომელსამე სიძქავის გამომწვევლს ნივთიერებას, უფრო-კი სპერმინსაო. ჰაერის გასაწმენდად კი უნდა ზარბაზნები ისროლოთ. ზარბაზნების გრიალი შეარყევს და გაათხელებს მოშხამულს ჰაერს, მიმოჰფანტავს, მიმოაბნევსო.

— პეტერბურგში გარდაიცვალა გენერალი ა. ბ. კომაროვი, რომელმაც თითქმის 30 წელიწადი გაატარა საქართველოსა და კავკასიაში, სადაც იქმნა დანიშნული 1855 წელს და მხოლოდ 1883 წელს იქმნა გადაყვანილი იმიერ-კასპიის მხარეს გენერალ-გუბერნატორად და იქაურ ოლქის ჯარების უფროსად. კავკასიაში სამსახურის დროს იყო სამხრეთ დაღესტნის სამხედრო უფროსად და მერე კავკასიის სამხედრო საერო მმართველობის უფროსად. იმიერ-კასპიის მხარეში თავი ისახელა კუშკის ბრძოლის დროს. განსვენებულს ძრიელ უყვარდა არქეოლოგია, ეტნოგრაფია და მეტადრე ნუმიზმატიკა. დიდ-ძალი აღმოსავლეთის ძველი ფული ჰქონდა შეგროვილი—3000 ცალი.

—

ლინგვისტმა ე. ვოლტერმა დაბეჭდა იაყუბ ვუიკას თხზულება, თარგმნილი ლიტვურად ნიკ. დაუკშის მიერ. დაუკშმ განანათლა ერი ლიტველთა ამ სამასის წლის წინად. დღემდე აკრძალული იყო ლიტვურად წიგნების ბეჭდვა. ლიტვური მწერლობა იდევნებოდა რუსეთში 60-იან წლებიდან. ამ დევნულების წინააღმდეგი იყო ლინგვისტი ვოლტერი, რომელიც დიდის გაბედვით და გამუდმებით ებრძოდა ამ აღკრძალვას, რომელიც გაუგებარი იყო და თან მავნებელიც ჩვენისავე კულტურისაო, ამბობს «ს. პ. ვედ.»-ი. თ-დმა მირსკიმ, როცა იქ იყო უფროსად, უშველა ამ საქმეს და მოსპო ეს მავნებელი ანომალიაო.

## ოსმალეთის ხონთქრის მურად მე-V სიკვდილი.

(დასასრული *)

მურად მე-V-ს ოსმალეთის ტახტზედ ყოფნის დროს სამის თვის განმავლობაში, ყველა სახელმწიფო საქმეებს მითხად-ფაშა ხელმძღვანელობდა. ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ აბდულ-ჰამიდმა მაშინ დიდი თავაზიანობა გამოიჩინა: მითხად-ფაშასაგან შემოღებულ ყოველგვარ რეფორმას ისე სიხარულით ეგებებოდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა; ერთის სიტყვით, არა-ჩვეულებრივი ლიბერალობა გამოიჩინა და ყოველი მისი აზრი მოწინავე აზრად მიაჩნდათ. მაგრამ ეს ნიღაბი აბდულ-ჰამიდმა მხოლოდ მურადის დამხობამდე შეირჩინა, ხოლო როდესაც მურადი ტახტიდგან გადმოაგდეს, მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ ოსმალეთს ცუდი ხანა დაუდგა.

ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს, რომ ჰერცოგოვინელ ქრისტიანთათვის დაარსებულიყო სარეფორმო კომისია, რომელიც ევროპიელ კონსულების ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ამავე საშუალებითვე უნდა დაეცხროთ ბულგარელი მეამბოხენიც.

რადგანაც ოსმალეთის გაწვრთნილი ლაშქარი გერცოგოვინაში იყო, ევროპის სახელმწიფოთა მოთხოვნილების აღსასრულებლად ბულგარიაში გაჰგზავნეს გაწვრთნილი და წესიერი ჯარი კი არა, არამედ ბაში ბუზუკები, ნამდვილი ავაზაკები, რომელნიც თავიანთ სისხლის მღვრელობის ინსტინქტს სრულს უფლებას აძლევდნენ. ბაში-ბუზუკებმა მიჰყვეს ხელი ბულგარელ მკვიდრთა დარბევა-დაწიოკებას; არ ინდობდნენ არც ბავშვებს, არც მოხუცებულებს და ახალ გაზრდებს ხომ არ დაინდობდნენ და არა! აუარებელი მაგალითი იყო იმისი, თუ ბოძზედ თოკით მიკრულ ბულგარელს როგორ აყურებინებდნენ თავიანთ დედებისა, ცოლებისა, დებისა და ქალიშვილების გაუპატიურებას, ნამუსის ახდას!..

ამ გარემოებამ კიდევ უფრო ცეცხლზედ ნავთი დაასხა.

ევროპის დიდი სახელმწიფოები ოტტომანის იმპერიას უდღეურ, უსუსურ სახელმწიფოდ სთვლიდნენ და მიიღეს კიდეც ყოველივე ღონისძიებანი მთავრობის მოხელეთა საშინელ ავაზაკობის მოსასპობად. რამდენმამე ევროპის სახელმწიფომ ოსმალეთის წყლებში,—ბოსფორსა და დარდანელში,—სამხედრო ფლოტი გამოჰგზავნა და მტკიცედ მოსთხოვა უდღეურ მთავრობას რეფორმების შემოღება და მთავრობის მოხელეთა ავაზაკობის მოსპობა.

შეშინებული ოსმალეთი ყველაფერზედ თანხმდება და ჰპირდება,—ყოველსავე მოვაწესრიგებთ, მხოლოდ ცოტა დაგვაცადეთო!...

თუ როგორი იყო ოსმალეთის დაპირება, ეს ყველამ კარგად უწყის!

რათა ხელი შეეშალათ ევროპის „აპეკუნობისათვის", ახალგაზდა ოსმალთა დასმა განაახლა მოქმედება ოსმალეთის აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ; ამათ უნდოდათ, აბსოლიუტიზმი ხალხის წარმომადგენლობითის მმართველობით შეეცვალათ. ისე სჩანდა, თითქო ოსმალეთის ხალხს თვით უნდოდა განევო და გადაეწყვიტა თავისი სვე ბედი.

მართლა იმედი ჰქონდათ ახალგაზდა ოსმალთა დასის მეთაურთ კონსტიტუციის შემოღებისა თუ არა,—ძნელია ამისი თქმა. მაგრამ ეჭვი არაა, რომ ისინი შინაგანს რეფორმებს ისე უყურებდნენ, როგორც იმპერიის დაღუპვისაგან გადამრჩენელ საშუალებას. შესაძლებელია აგრედვე, რომ ახალგაზდა ოსმალნი პარლამენტალურ კომედიას თამაშობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოების წინაშე, რომ თავიდან აეცილებინათ თავიანთ საქმეში სხვა ხალხის ჩარევა.

ასეა თუ ისე, ოსმალეთი ამ გზით გაეცნო საკონსტიტუციო დაწესებულებას: მინისტრთა და პარლამენტის პასუხის მგებლობას; პარლამენტი შესდგებოდა ორის პალატისაგან—სენატი და დეპუტატთა პალატა, რომელიც ხალხს უნდა ამოერჩია. ისლამი ისევ სახელმწიფო სარწმუნოებად რჩებოდა.

იმ ცირკულიარში, რომელიც მაშინ ევროპის დიდ სახელმწიფოებს გაუგზავნეს, ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთის კონსტიტუციისათვის უცნობი ხილი იქმნება ყოველგვარი თეოკრატიული თვისება, რომ ის კონსტიტუცია ჩაჰყრის საფუძველს ოსმალეთში თავისუფლების ბატონობისას, სიმართლისა, თანასწორობისა და ცივილიზაციის გამეფებისასაო. განსაკუთრებით ყურადღებითა და დიდის ასოებით ეწერა,—«ახალი კონსტიტუცია ჩვენებური ჩვეულებრივი დაპირება კი არაა, არამედ ნამდვილი სიმართლეაო»

ამნაირ მოწოდებით მითხად-ფაშამ დიდი სახელი მოიხვეჭა. მაგრამ როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა თავიანთი ულტიმატუმი წარუდგინეს ოსმალეთის ლიბერალურ მთავრობას, მითხად-ფაშამ უპასუხა: თქვენი მოთხოვნილება ოსმალეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო.

გავიდა რამდენიმე დღე. მითხად-ფაშა და მისი სამინისტრო რაღაც მანქანებით დაეცა. მურადი, როგორც არა ერთხელ გვქონდა ნახსენები, ტახტიდგან გადმოაგდეს. აბდულ-ჰამიდმა შემდეგის მანიფესტით მიჰმართა მართლ-მორწმუნეთ:

«წყალობითა ალლაჰისათა და ნებითა ხალხისათა, მე, კანონიერი მემკვიდრე ოტტომანის იმპერატორთა ტახტისა, ვემორჩილები ჩემს ხვედრს და ავდივარ ჩვენთა წინაპართა უძველეს ტახტზედ. უსაყვარლესი ჩვენი ძმა იძულებული იყო დაეტოვებინა ტახტი და ხალიფობა განუკურნებელ ავადმყოფობისა გამო. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, ოსმალეთის მოქალაქენო, ერთგულ ქვეშევრდომად და თანასამსახურებად ჩემდა».

ამ მანიფესტით, მაღალ-წოდებისა და ყაჩაღ «ჩინოვნიკთა» გარდა, არავინ კმაყოფილი არ იყო. ხალხი ძლიერ მალე მიხვდა აბდულ-ჰამიდის მოჩვენებულ ლიბერალობას. რამდენისამე ხნის შემდეგ სტამბოლის ქუჩებზედ გააკრეს პროკლამაციები, ოსმალურს ენაზედ შედგენილი, რომელშიაც ეწერა:

«ოსმალეთი ეხლა-კი დაიღუპება, რადგანაც უთავო მბრძანებელი ჰყავს. მაინც უმჯობესია, აღრევე დაიღუპოს, ვიდრე მთელის ქვეყნის თვალში სამარცხვინო იყოს»-ო.

ეჭვი არაა, ოსმალეთში ნამდვილი მოქალაქენი არ არიან, როგორც სხვაგან, არიან მხოლოდ ყურ-მოჭრილი ყმანი და ღორ-მუცელა «ჩინოვნიკები», თორემ მითხად-ფაშას-მიერ დაწყებულ საკეთილო საქმეს სასურველ დაბოლოვებას მისცემდნენ.

არ გასულა დიდი ხანი, რომ იფეთქა რუსეთ-ოსმალეთის ომმა...ბერლინის კონგრესის შემდეგ-კი აბდულ-ჰამიდი გამაგრდა მარტოდ-მარტო თავისს სასახლეში და მოსალოდნელმა სახელმწიფო რეფორმებმაც სამუდამოდ თქვენი ჭირი წაიღო!...

ასე დაბოლოვდა ის იმედები, რომელიც გამოიწვია ოსმალეთში ეხლა-ხან გარდაცვლილ მურად მე-V-ის გამეფებამ...

დომ. ჯაში.

*) იხ. „ივერია", № 221.

## თეატრი და ხელოვნება

**ოპერა.** ორშაბათს, 4 ოკდომბერს, ბ-ნმა დონსკოიმ ორი ახალი მომღერალი ქალი უჩვენა ტფილისის საზოგადოებას: კარმენის როლის აღმასრულებელი—ქ-ნი პეტროვა-ზვანცოვისა და მიკაელას—ქ-ნი ეიხენვალდ-დონსკოისა.

ქ-ნი პეტროვა მშვენიერი კარმენია, როგორც მღერითა, ისე გარეგანის თამაშობით. კარგი ხმა აქვს, ვნება-სურვილების მკაფიოდ გამომთქმელი; კარმენის პარტიის მღერაში ადგილ-ადგილ, განსაკუთრებით საშუალო ფარდებში—ხმას იგი იმ იერს აძლევს, როგორათაც სჩვევიათ მომღერალ ბოშა-ქალებს. ეს იერი თუმცა ერთის მხრით ვულგარულია, მაგრამ ამ შემთხვევაში არ დაიწუნება, რადგანაც თვით კარმენი ბოშა-ქალია. სახე ქ-ნ პეტროვას მოძრავი, გრძნობათა მეტყველი აქვს, მიხვრა-მოხვრა სხარტი, ლაზათიანი, განსაკუთრებით არშიყობის დროსა, ცეკვავს საგანგებოდ. საზოგადოებას ქ-ნი პეტროვისა ძალიან მოეწონა.

ქ-ნის ეიხენვალდის ხმა სულ პაწიაა, სუსტი, თუმცა წკრიალა. მშვენიერი დიქცია აქვს, არც ერთი სიტყვა არ გამოეპარება მსმენელს. კდემა-მოსილება მიკაელასი მან სრულის მეტყველებით განახორციელა, ძალიან მოხდენილი იყო მისი თამაშობა და მიხვრა მოხვრა.

ბ-ნ დონსკოის ძალიან ეხერხება დონხოზეს როლი, როგორც სიმღერით, ისე თამაშობით, განსაკუთრებით სიმღერით.

მეორე მოქმედების არია გაამეორებინა აღტაცებულმა საზოგადოებამ. ჭეშმარიტის დრამატიზმით არის გამსჭვალული გადმოცემა მომღერლის მიერ დონ-ხოზეს სულის კვეთებისა უკანასკნელს მოქმედებაში.

ბ-ნმა პოლუიანოვმა ტორეადორის როლში ვერ დაგვაკმაყოფილა სიმღერით. უფერულად სთქვა ტორეადორის საგმირო კუპლეტები; მესამე მოქმედებაში-კი კილო შეეცვალა და ჰანგი ყალბად მოუვიდა.

ბ-ნ სპერანსკის თამაშობა კაპიტანის როლში ბუნებრივის კომიზმით არის აღსავსე.

ლოტბარი ბ-ნი მიკლაშევსკი ძალიან აჩქარებს უვერტიურის ტემპს, თითქოს ეს უვერტიურა სადმე გაპარვას აპირებდეს.

ი.

## ქართული წარმოდგენა ქუთაისში.

წრევანდელს სეზონს ქუთაისში აწარმოებს ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. დასში არიან მოწვეულნი, ძველთა გარდა, ქ-ნი დავითიშვილისა და ბ-ნი გვარაძე, ტფილისის ახალგაზრდა მსახიობნი.

სეზონის დასაწყისისათვის წარმოდგენილი იყო პროტოპოპოვის 4 მოქ. პიესა „ცხოვრების გარეშე“, რომელიც ამ ზაფხულს პირველად წარმოადგინა ქუთაისში ტფილისიდგან ჩამოსულმა მსახიობთა ამხანაგობამ ვ. გუნიას გამგებლობით.

ამ საღამოს წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ტფილისიდან მოწვეული არტისტი კონ. შათირიშვილი.

წარმოდგენას, სამწუხაროდ, ხალხი ნაკლებად დაესწრო. პიესა, როგორც მკითხველებმა უწყიან, ფრიად საინტერესოა.

წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა, თუმცა ალაგ-ალაგ უფერულობა და მოუმზადებლობა ეტყობოდა.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ახალგაზრდა მსახიობმა ნ. გვარაძემ პატარა და უმნიშვნელო როლში.

კარგები იყვნენ თავიანთ როლებში ბ-ნი კ. შათირიშვილი, ვლ. მესხიშვილი, ვ. გამყრელიძე და ქ-ბნი ნ. დავითიშვილი, მ მდივანი და სხვებიც.

ვუსურვებთ რა ქუთაისის დრამატიულ დასს სრულს გამარჯვებას და საზოგადოების გულის მოგებას, თან ვინატრით, რომ დასმა მეტი შეგნებული შრომა და ხელოვნური უნარი გამოიჩინოს; მაშინ, უეჭველია, საზოგადოებაც სიამოვნებით ივლის.

სოფელი გდეხა.

# წ ე რ ი ლ ი

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი მ ა რ თ

ანათემა ათას-ცხრაას-მეოთხესა წელსა, რომელმაც ჩვენი ერის საერთოდ საგონებელი ხარკი მოითხოვა... წყევა, შეჩვენება ჩვენ მიერ წლევანდელს წელიწადს, რომელმაც შემოგვისია სიკვდილი და ერთი მეორეზე მიყოლებით რამდენიმე სანუგეშო, ნაყოფის მომცემი მამულის შვილნი გამოგვაცალა ხელიდამ. . საერთო მწუხარება საგრძნობის დასაკლისის გამო ჯერ კიდევ არ გაგვნელებია გულში, რომ ახალმა თავ-ზარ-დამცემმა უბედურებამ დაგვირეკა კიდევ ჩვენი საერო ოჯახის კარზე. შეჩვენებულმა სიკვდილმა წაგვართვა კიდევ ერთი საიმედო ქველ-მოქმედი მამულის შვილი. სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის გარდაცვალება ადვილად მოსაქარვებელი დასაკლისი როდია ჩვენი საეროვნო ოჯახის შეგნებულ შვილთათვის... ღმერთო ჩემო! ნუ თუ ზეციურ გამგებლის ძალთა ძალიც ჩვენდა გასანადგურებლად აღიჭურვა!.. გულის დამაღონებელ მწუხარებით გარემოცული, მანძილით შორ მყოფი, ხოლო სულით და გულით კი მათ შორის მყოფი, ვუცხადებ ჩემ გულითადს მწუხარებას და წრფელს თანაგრძნობას გარდაცვალებულის, ჭეშმარიტად მადლით მოსილის ქველ-მოქმედის, თანშობილებსა და ნათესავთ, და ვუერთებ ჩემს გლოვა-მწუხარებას ჩვენის ერის მოწინავე, მოწადმართე კრებულის გლოვა-მწუხარებას.

დარჩეს სამარადისოდ ჩვენ შორის კეთილ-მოსახსენებლად და მისაბაძავად სახელი და საქმენი ჩვენთვის კეთილის მყოფელის სტეფანე ზუბალაშვილისა!

ქაიხოსრო გედევანი.

# დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 ოკდომბერი

**მუკდენი**, 3 ოკდომბერი, (რეიტერი). საღამოთი სამხრეთ დასავლეთით სროლა შესუსტდა. ჯარი დაიქანცა. სურსათი შემოაკლდა. მებრძოლთ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. ბრძოლის ველი მოფენილია უკან დაწეულ რუსებით. რამდენიმე ყუმბარა კუროპატკინის მახლობლად გასკდა. კუროპატკინმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ბრძოლა, როგორც ეტყობა, შეჩერდა. ჯარი გამმაგებულია ყველანი ამბობენ, გაჩერება შეუძლებელიაო. იაპონელები ქალაქ მუკდენს, მგონი, არ მოახლოვებიან. იმათის ბანაკების ცეცხლი მოსჩანს სამხრეთით, მუკდენიდან 15 ვერსზე.

**ტოკიო**, 3 ოკდომბერი (რეიტერი). ბრძოლის ველიდან თან-და-თან მოდის დაწვრილებითი ამბები. შეუძლებელია იაპონელთა ზარალის გამორკვევა. როგორც 2 ოკდომბერს გამოგზავნილ ცნობებიდანა სჩანს, საქმე ასეთს მდგომარეობაშია: იაპონელთა მარჯვენა ლაშქრის (კუროკის) მთავარი ჯარი შახემდე მივიდა, სადაც რუსის დივიზიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. შუაგული ლაშქარი (ნოძუ) 2 ოკდომბერს, დილიდან დაწყებული, ცხარე ბრძოლაშია, ამ ჟამად რუსები ჯერ კიდევ თავიანთ პოზიციებზე არიან შახეპუსა და ლამუტუნთან და დიდ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს. შუაგულ ლაშქრის ერთი რაზმი სცდილობს შახეპუს აღებას. მარჯვენა რაზმი თავს დაეცა რუსის პოზიციას. რუსის რამდენიმე რაზმი შახეს მარჯვენა ნაპირზეა. რუსის ჯარმა შახეპუსა და ლამუტუნთან, რომელიც მარცხენა ლაშქრის წინააღმდეგ მოქმედებდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს, მაგრამ ამ ჯარს შემდეგ გზა გადუჭრეს. 2 ოკდომბერს რუსები სანტასა და სკანძისთან გაჩნდნენ. ისინი მზის ჩასვლამდე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იაპონელებს.

ტყვე რუსების სიტყვით, ომი დიდხანს გასტანს, რადგან რუსეთმა გადასწყვიტა, დაამარცხოს იაპონია. უფრო დაზარალდა ციმბირის მესამე დივიზია. პირველ ოკდომბრის ბრძოლაში მოკლულთა რიცხვი დიდია.

**მუკდენი**, 2 ოკდომბერი (რეიტერი). დღეს ჩრდილოეთის ქარი უბერავს. ამიტომ ჯარი უმოქმედოდ ერთ ადგილას სდგას. ცხარე ბრძოლაშია ის ჯარი, რომელიც ვაკეზეა. დაჭრილებს მუკდენში ჰგზავნიან.

**ტოკიო**, 3 ოკდომბერი (რეიტერი). მიკადომ მადლობა გადაუხადა იაპონიის ჯარს წინ წასულ რუსების შეჩერებისა და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, იმათ ჯარის უკან დახევისათვის. რუსებმა შახეზე დასწვეს რკინის გზის ხიდი, მაგრამ იაპონელებმა 24 საათის განმავლობაში შეაკეთეს. იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს რუსის რამდენიმე ზარბაზანი. ეს ზარბაზნები ვაგონით წამოიღეს.

**რუსის მარჯვენა ლაშქრის მთავარი ბანაკი**, 2 ოკდომბერი (რეიტერი). ექვსის დღის ბრძოლის შემდეგ, რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაწეულიყვნენ. იაპონელმა გუსარებმა დღეს იერიში მიიტანეს რუსის მარცხენა ფრთეს შუაგულზედ. ასტყდა მეტად მწვავე სროლა. ზარბაზნებისა და თოფების სროლამ გამოიწვია შუადღისას ჭექა-ქუხილი. დაუშინა წვიმამ და სეტყვამ; ამ დროს მოიყვანეს დაჭრილნი. პირველად გადაიტანეს დატვირთული ურმები და საომარი მასალა. თუმცა იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ, მაგრამ, მაინც რუსები მთელ ღამეს გამაგრდნენ პოზიციებზე.

**ტოკიო**, 3 ოკდომბერი. (რეიტერი). კვირა საღამოს მიღებულ დეპეშაში სწერია იაპონელთა მარჯვენა ლაშქრის შუბლის ჯარმა ბრძოლა შესწყვიტაო, შუაგულ ჯარში ბრძოლა არ შეწყვეტილა. რუსის მარცხენა ლაშქრის შუბლის ჯარში სიწყნარეა. იაპონელებმა ხელთ იგდეს რუსების ერთი ზარბაზანი და ორი სურსათით სავსე ურემი. მოდის მოკლე ცნობანი იაპონელთა ზარალის შესახებ.

**მუკდენი**, 4 ოკდომბერი, დილის 5 საათი. (რეიტერი). განაახლეს ბრძოლა, რომელიც მთელი დღე გაგრძელდა. რუსებმა შეინარჩუნეს პოზიცია შახეზე და იერიში მიიტანეს იაპონელებზე. ამბობენ რუსებმა იაპონელთა 6 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელშიო. დღე საშინელი სროლა ასტეხეს. უმთავრესი ბრძოლა ვაკეზეა.

**ხოტინი**, 4 ოქტომბერი. გაგზავნილია შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალ მეომართა რაზმი. მესამე რაზმს ადგენენ.

**ფაკკელბერგი**. (კუნძული ლანგელანდი). («რიტცაუს სააგენტო») 4 ოკდომბერს დილის $6^1/_2$ საათზე გამოჩნდა ბალტიის ესკადრა, რომელმაც $6^3/_4$ საათზე გაიარა კუნძულ ლანგელანდის სამხრეთს ნაწილის ახლოს. ესკადრაში 24 გემია. დანიის კრეისერმა «ჰეიმდალ»-მა ზარბაზნის სროლით სალამი მისცა რუსის საადმირალო გემს, რომლიდანაც პასუხი გასცეს, და შემდეგ რუსის გემებთან ერთად ჩრდილოეთისაკენ წავიდა. რუსის ესკადრა გაჩერდა ლანგელანდის სრუტეში, ბროლინისა და ფაკკელბერგის კანდელებს შუა, და ქვანახშირი გადმოტვირთა ორ გემიდან, რომლებიც ლანგელანდის კუნძულთან უცდიდნენ ესკადრას.

5 ოკდომბერი.

**ლონდონი**. რუსეთის აღმოსავლეთის რაზმის მთავარ-სადგომთან მყოფი «რეიტერი»-ს კორესპონდენტი იუწყება 3 ოკდომბერს, რომ ეს რაზმი 23 სეკდემბერს წავიდა წინ ლიაოიანისაკენაო. ჰფიქრობენ, რომ იაპონელებს პირველად იანტაისა და ბენიაპუზას შუა შეხვდებოდნენ. იმედით აღსავსე რაზმი წავიდა წინა და მალე მთიან ადგილებს მიაღწია. მოწინავე რაზმმა ბრძოლა დაიწყო; გენერალმა რენენკამფმა ამბავი გამოჰგზავნა, თაიძიხეს მივაღწიეო. მთელი დღე იმისი ზარბაზნების გრიალი ისმოდა. 27 სეკდემბერს რუსის რაზმმა ბენიაპუზას მიაღწია. მოწინავე რაზმმა საარტილერიო ბრძოლა დაიწყო, რომელიც დაღამებამდე გაგრძელდა. დაღამებისას რუსებმა დაიჭირეს იაპონელთა სანგრები, რომელთა უდიდესი ნაწილიც დაუსრულებელი იყო. იაპონელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჯარის შუა გული თაიძიხედან 25 ვერსის მანძილზე იყო. დილის 11 საათსა და 4 წუთზე იანტაის მხარეს გამწვავებული ზარბაზნის სროლა ასტყდა და საღამომდე გაგძელდა. დილით გენერალმა შტაკელბერგმა მიიღო კუროპატკინისაგან პატარა ბარათი: კუროპატკინი ულოცავდა ნაყოფიერ წინსვლას და ბენიაპუზას დაჭერას. 28 სეკდემბერს დაიწყო ბრძოლა შუაგულ ჯარში და მარცხენა ფრთეზედ. მეოთხე კორპუსმა საშინელი სროლა აუტეხა იაპონელებს, რომელთაც ეჭირათ კარგი პოზიცია კლდიან სერის სიმაღლეზე. სამხრეთ-დასავლეთისკენ მოქცეული რუსის შუბლის ჯარი მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით 28 მილის მანძილზე იყო. რუსის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელების რაზმზე და განდევნა უმთავრეს პოზიციების წინ ამართულ მთებიდან. იაპონელთა არტილერია სეტყვასავით აყრიდა ყუმბარებს წინ წამოსულ რუსებს. უმთავრესს პოზიციაზე იერიში შუადღისას მიიტანეს. დაიწყო საერთო ბრძოლა მთელის ჯარისა; ერთმა კორპუსმა იერიში მიიტანა შუმანლინისა და შაოშანლინის უღელტეხილებზე და მამაცად მიდიოდა წინ იმ დროს, როცა იაპონელები საშინლად აყრიდნენ ყუმბარებსა და ტყვიებს, და სამ დღეში მიაღწია მტრის პოზიციის ბაზას. ბრძანება გასცეს, განეგძოთ წინსვლა, და მალე რუსის არტილერიამ ჩინებულად ასტეხა სროლა და ჩააჩუმა იაპონელთა არტილერია.

**ლონდონი**, 4 ოკდომბერი. (რეიტერი) „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი რუსის აღმოსავლეთ რაზმის მთავარ სადგომიდან 3 ოკდომბერს იუწყება: 29 სეკდემბერს იაპონელების რაზმის უფროსმა ზარბაზნის სროლა შეაჩერა, რადგან რუსები მაღლობებზედ იდგნენ. საღამოთი რუსები 100 მეტრის მანძილზე იდგნენ იაპონელების პოზიციებიდან. ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა და გათენებისას უფრო გამწვავდა, რადგან იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. დილის $10^1/_2$ საათზე ამბავი მოვიდა, რომ საშინელ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა რუსის შუა ჯარი უკუ აქციესო. რუსის მარჯვენა ფრთეც იძულებული იყო უკან დაეწია. უკანასკნელის ცნობებიდანა სჩანს, რომ იაპონელებმა შუა ჯარი გაარღვიეს და უკან დააწვინეს. რაკი რუსის შუა ჯარი გაარღვიეს, იაპონელები წინ გაემართნენ. რუსის უფროსმა სარდალმა შუა რაზმს მაშველი ჯარი გაუგზავნა; ეს რაზმი იაპონელებს შეებრძოლა, მაგრამ იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსებზე კუროპატკინის ჯარს შუაზე გარღვევა დაუპირეს. იაპონელებმა ჯერ მთელი თავიანთი ლაშქარი დასავლეთისკენ გადაიყვანეს, იქ რუსები უკუ-აქციეს და მერე რუსის შუა ჯარს დაეცნენ, რუსის მარცხენა ფრთეს კი მცირე რაზმით შეებრძოლნენ. ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წ. გენ. შტაკელბერგმა 4 პოლკი მაშველი ჯარი გაგზავნა იაპონელების მარცხენა ფრთეზე იერიშის მისატანად; $4^1/_2$ საათზე ამ პოლკებმა მიიტანეს კიდევაც იერიში, მაგრამ ბრძოლის შემდევ რუსის ლაშქარი მაინც გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდა,—იაპონელები შუაზე გარღვევას უპირებდნენ. 30 სეკდემბერს პირველმა და მესამე კორპუსებმა პოზიციები შეინარჩუნეს. შუადღისას იაპონელებმა იერიში მიიტანეს აღმოსავლეთ ლაშქრის მარჯვენა ფრთეზე. რუსებმა სასწრაფოდ ორი დივიზია მიაშველეს ამ ფრთეს, მაგრამ იაპონელებმა მეტად მაგარი პოზიციები აიღეს და რუსებმა ეს პოზიციები ვეღარ წაართვეს. დასავლეთ მხარესაც მედგარ ბრძოლას განაგრძობენ. იაპონელები გენ. კუროპატკინს უკან აწევინებენ და სცდილობენ, რომ რუსის აღმოსავლეთის ლაშქარი მთებში განდევნონ. ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე ბრძანება გასცეს, ბრძოლა შეაჩერეთო. 1 ოკდომბერს, ღამით, აღმოსავლეთ ლაშქრის ნაწილმა ჩრდილოეთისაკენ დაიწია, მაგრამ იაპონელები არ მოეშვნენ და ეს რაზმი იძულებული იყო, კიდევ ბრძოლა დაეწყო.

**მუკდენი**, 4 ოკდომბერი. (ჰავასი). დღეს, დილის 5 საათზე, გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ, რუსებმა ხელ-ახლად დაიჭირეს პოზიციები მდინარე შახეს მარცხენა ნაპირად. იაპონელები, ეტყობა, დაქანცულნი არიან. ეხლა ასეთი გამწვავებული ბრძოლა აღარაა. რუსები უკანასკნელმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა, ეხლა იერიშის მისატანად მიიწევენ და საკვირველ მამაცობას იჩენენ.

**ლონდონი**, 4 ოკდომბერი. (რეიტერი). ლონდონში მყოფმა იაპონიის ელჩმა ჰაიაშიმ ეხლანდელ უდიდეს ომის შესახებ მანჯურიაში სთქვა, რომ ამდენ ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა საშინელებააო. იაპონელეჰს ძალიან აწუხებს ეს, მაგრამ რანაირად უნდა აეცილებინათ თავიდან ომი? ყველას, ვინც იცის ეხლანდელი ვითარებანი, უნდა სცოდნოდა, რა გამწვავებული იქნებოდა ეს ომი. ეხლა სხვა არა დარჩენილა-რა, ომი ბოლომდის უნდა განვაგრძოთ. იაპონია ვერ გადასწყვეტს, დადგა თუ არა დრო ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკისა. ეს რუსის მთავრობის საქმეა. არ უნდა დაივიწყოს არავინ, რომ იაპონიას არას დროს არ გამოუწვევია ომი. ჰაიაშიმ დაუმატა, რომ ვერაფერი დაუშლის ბრძოლის განგრძობას, რადგანაც ზამთარში მანჯურიაში სამხედრო მოქმედება უფრო ადვილია, ვიდრე ზაფხულში. ომი გაგრძელდება ზამთარში აც. ეხლა მნიშვნელოვანი პოზიცია, რომელიც იაპონელებმა უნდა აიღონ, არის თელინი. როდესაც თელინს აიღებენ, მაშინ ვერარაფერი დაუშლის იაპონელებს ხარბინისაკენ წასვლას. ზავის ჩამოგდების შესახებ ჰაიაშიმ სთქვა: «სასურველია ზავი, როგორც შედეგი კაცთ-მოყვარე გრძნობისა, რომ მოისპოს საშინელი სისხლის ღვრა მანჯურიაში. ეხლა ერთობ გვიანაა წუხილი, წინადვე იყო ამის ცოდნა საჭირო და თავიდან აცილებაო».

**ლონდონი**, 4 ოკდომბერი. (რეიტერი). 2 საათზე რუსებმა მიიტანეს იერიში ოქუს მარცხენა რაზმზე. 3 ოკდომბერს იაპონელებმა ექვსჯერ მიიტანეს იერიში და ყველა მოიგერიეს რუსებმა მზის ჩასვლისას; დეპეშის გაგზავნის დროს რუსებმა მეშვიდეთ მიიტანეს იერიში. 3 ოკდომბერს მომხდარ ამბების შესახებ, ტოკიოდან იტყობინებიან დეპეშით, რომ რუსების პატარა რაზმებმა უკან დაიხია—ზოგმა გუალინისაკენ და ზოგმა კაოტალინისაკენ. იაპონიის რაზმმა დაიჭირა კუანში. რუსის ბრიგადა გროვდება ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩენშიტთან.

**ტოკიო**, 4 ოკდომბერი (რეიტერი). რუსების შუაგულ ჯარის მდგომარეობა შუბლზედ არ შეცვლილა 3 ოკდომბერს საღამომდე. გუშინ მოვიდა მოხსენება, რომ რუსებმა იერიში მიიტანეს ხსენჩუანზე და ეცადნენ მიეღწიათ იალუსთან მისავალ იაპონელთა გზამდე.

**ჩიფუ**, 4 ოკდომბერი. (რეიტერი). ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ემზადებიან მედგარ იერიშის მისატანად პორტ-არტურზე მიკადოს დაბადების დღეს, 21 ოკდომბერს.

**პეტერბურგი**. წუხარ ოკვანეს ფლოტის მეორე ესკადრის უფროსს როჟდესტვენსკის ებოძა გენერალ-ადიუტანტობა, დატოვებულ იქმნა შტაბის უფროსის თანამდებობაზედ და ესკადრის უფროსად. ვიცე-ადმირალ გერკენს, ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა მზრუნველ კომიტეტის წევრს, ებოძა ადმირალობა დატოვებულ იქმნა ძველ თანამდებობაზე.

გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ 50 წლის შესრულების გამო მას შემდეგ, რაც 1854 წელს პირველად მძლავრად დაუშინეს სევასტოპოლს ზარბაზნი; დიდ მთავარს პირველს ებოძა სევასტოპოლის საიუბილეო მედალი.

მათი იმპერატორებითი უმაღლესობა ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი ალექსი ნიკოლოოზის ძე ტაშკენტის კადეტთა კორპუსის შეფად დაინიშნა ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, ხელმწიფე მემკვიდრის ტაშკენტის კადეტთა კორპუსის შეფად დანიშვნის შემდეგ დაერქვას ამ კორპუსს „ტაშკენტის ხელმწიფე მემკვიდრის კადეტთა კორპუსი“, ამასთანავე ეძოძათ ყველას ამ კორპუსის სამხედრო კაცთა და კედეტებს პაგონებზედ ვენზელზედ გამოსახული სახელი მემკვიდრისა. ხელმწიფე იმპერატორმა მიაქცია მოწყალებითი ყურადღება იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ოსმალეთთან ომში 1879 წ. და რომელთაც ჯერ პოდპოლკოვნიკის ჩინი არ მიუღიათ, და ბრძანა, ხელმწიფე მემკვიდრის ამ მაღალ-ბრწყინვალე დღესასწაულის გამო ებოძოს პოდპოლკოვნიკობა ყველა. კაპიტნებს და როტმისტრებს ქვეითა ჯარისა და კავალერიისას, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ზემოხსენებულ ომში, ემსახურნენ ამ ჩინით არა ნაკლებ სამის წლისა და აქვთ ერთი ან ორი საჩუქარი.

**მადრიდი**. 4 ოკდომბერს გარდაიცვალა მეფის დაჲ, ასტურიის პრინცესსა.

**თავრიზი**. (საავ. საკ. კორ.). ხოლერა ძლიერდება. ყოველ-დღე 300 კაცი კვდება. სომხები ქალაქიდგან იხიზნებიან.

**ლონდონი**, 4 ოკდომბერი. (რეიტერი). ოქუს უმთავრეს ბანაკიდგან იუწყებიან 2 ოკდომბრის თარიღით, რუსებმა ღამე დაიწიეს აღმოსავლეთად რკინის გზის გაყოლებაზე, მარჯვენა ფრთის განაპირა ნაწილის გარდა. იაპონელებმა წაიწიეს წინ, მაგრამ რუსები ადგილიდან ვერ დასძრეს. ისინი ეცადნენ გაერღვიათ რკინის გზისკენ გასავალი, რომ რუსებისათვის უკან დაწევის გზა გადაეჭრათ. იაპონელნი არ ელოდნენ რუსების მხრივ მედგარ წინააღმდეგობას. შუაღამისას რუსები თავს დაესხნენ იაპონელებს, მაგრამ ოთხის საათის თავგანწირულის ბრძოლის შემდეგ უკუ აქციეს. ორთავე ლაშქარმა ერთმანერთზე ახლო გაატარეს ღამე. გათენებისას რუსები კიდევ წავიდნენ იერიშით, მაგრამ კვლავ უკუაქციეს. დილით იაპონელებმა მოახერხეს წინ წაწევა. რუსებმა დაიხიეს და ერთობ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სოფელ ლუმუტუნისთან, რკინის გზის აღმოსავლეთად, 14 მილ. მუკდენის სამხრეთად, ღამე იაპონელებმა აიღეს ლუმატუიდან მარცხნივ მდებარე სოფელი. დილით აიღეს მეორე სოფელი მარჯვნივ. ეს ხამი სოფელი მდებარეობს ღრმა და განიერ მდინარის პირას. ამ ლარზე მომხდარი 48 საათის განმავლობაში არტილერიის გააფთრებული ბრძოლა ყველა ბრძოლაზე უსაშინელესი იყო.

**ხარბინი**, 5 ოკდომბერი. ღამის ბრძოლაში ჩვენ წავართვით 11 ზარბაზანი და 1 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მთელის დღის განმავლობაში, 3 ოკდომბერს, რკინის გზის ორთავე მხარეს, მანდარინის გზის მიდამოებში, იყო ბრძოლა. ზოგიერთჯელ ჩვენმა ჯარებმა ალაგ-ალაგ გაიმარჯვეს. საზოგადოდ ყოფა-მდგომარეობა ბრძოლის ველზე ცოტად შეიცვალა. როგორც ვუწყით, ღამით, 3 ოკდომბერს იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს ორს პოლკზე, რომელიც იდგა აღმოსავლეთად რვასერზე სადგურ შახედან და იძულებულ ჰყვეს უკან დაეწიათ. დილით ჩვენებს მიეშველნენ და მედგარის ხელჩართულის ბრძოლის შემდეგ იაპონელები უკუაქციეს და უკან დაედევნენ.

**ტოკიო**, 5 ოკდომბერი. (რეიტერი), კვირას რუსები შემოერტყნენ გენერალ იამადას რაზმსა და წაართვეს 14 ზარბაზანი. რუსები გროვდებიან ოქუსა და ნოძუს წინააღმდეგ. ელოდებიან ახალს

დიდს ბრძოლასა. რუსებმა გაათრებული იერიში მიიტანეს ოქუს პოზიციაზე, თავს დაესხნენ გავლილ ღამით ნოძუს და კუროკის, მაგრამ ისინი ყველგან უკუ აქციეს.

6 ოკდომბერი

**სტამბოლი.** (ვოლფი). მსოფლიო საპატრიარქოს სინოდი უჩივის რუსეთის ელჩის წინაშე რუსთა ოფიცრებს სალონიკის ვილაიეტში, დაჟინებით სდევნიან ბერძნებს და ცხადად მფარველობენ ბოლგართა პროპაგანდისაო, აგრეთვე ჯუფთებს, რომლებიც ამ პროპაგანდას ხელს უწყობენო.

**პეტერბურგი,** 5 ოკდომბერს. სამეუფეო ქალაქმა იდღესასწაულა პირველი სახელწოდების დღე მემკვიდრე ცესარევიჩისა. ყველა ეკკლესიაში დიდის ამბით იქმნა გადახდილი ღვთის-მსახურება.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა მანჯურიის პირველ ლაშქრის მთავარ სარდლისა 5 ოკდომ. თარიღით: 4 ოკდომბერს ღამე იაპონელნი სცდილობდნენ იერიში მიეტანათ ჩვენს მოწინავე ჯარზედ, რომელსაც კლდე უპირავს (პუტილოვის კლდე, საცა ხე სდგას), მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. სხვა მოხსენება არა მოსულა-რა. დილის 10 საათამდე ყველა საფარ-სანგარზე მშვიდობიანობა იყო. მთელ ღამეს წვიმას არ გადაუღია. გზები ძალიან გაფუჭდა. ყოველსავე ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას.

**მუკდენი,** 4 ოკდ. (რეიტ.) უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა განმეორებით მოიტანეს იერიში ჩვენს შუა გულს ჯარსა და მარჯვენა ფრთაზედა. როგორც ეტყობა, იაპონელებს ეშინიანთ, ვაი თუ წინ რომ წავიწიოთ, რუსებმა თვისნი სათადარიგო ჯარნი გააძლიერონო. რუსნი შახეს ნაპირად სდგანან. სიმედგრე ბრძოლისა იმაზედ იქმნება დამოკიდებული, თუ როგორ დაირაზმ-დაეწყობა იაპონელთა აღმოსავლეთის ჯარი, რომლის ასავალ-დასავალი ძალიან ნაკლებად ვიცით.

**ლონდონი,** 5 ოკდ. (რეიტერი). იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა დეპეშა, მიღებული ტოკიოდან 5 ოკდომბრის თარიღით, რომ იამადას უფროსობით გამოწვეული ჯარი მარცხენა ლაშქრის გასაძლიერებლად, როცა უკან დაბრუნდა იერიშის შემდეგ, უეცრად გარშემორტყმულ იქმნა რუსთა რაზმებითაო. მედგარის ბრძოლის შემდეგ ჯარმა გაარღვია რუსთა რაზმები და დაბრუნდა თავის წინანდელ ადგილას. იაპონიის არტილერიამ დაჰკარგა უმეტესი ნაწილი კაცთა და ცხენთა და იძულებული იყო დაეტოვებინა რუსებისათვის დავლად 6 საბარო და 5 სამთო ზარბაზანი. რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. 3 ოკდომბერს იაპონელებს ათასი კაცი დააკლდათ. 4 ოკდომბერს მხოლოდ ზარბაზნებით იყო ბრძოლა შუა-გულ ადგილას. იაპონელნი სცდილობენ რუსებს მუკდენს იქით დააწევინონ. ამ ქალაქის მახლობლად ბრძოლა აუცილებელია. გენ. კუროპატკინი სულ ჯარშია. ამ 9 დღეში, როცა განუწყვეტელი ბრძოლა იყო, რუსებმა ორი ათას კაცზედ ნაკლები არ დაჰკარგეს დღეში. ცხენონი ძლიერ იტევენ დაჭრილთა და დაკოდილთა; მაინც კარგად მუშაობენ ეს ცხენონები. ჩინელებმა მიატოვეს ახლომახლო სოფლები. რუსები შეშად ხმარობენ მათს სახლ-კარს. მუკდენიდან სამხრეთად მიდამონი სამწუხარო სანახავია. ეს ქვეყანა ველარ შესძლებს დააპუროს დიდი ლაშქარი, რადგან მოსავალი და ინახული განადგურდა.

5 ოკდომბერს საღამოთი. რუსნი ხელიდან არ უშვებენ იმ ადგილს, რომელიც ერთის დღის წინად დაიპირეს შიხესთან. იაპონელებს წაართვეს რამდენიმე ტყვიის მფრქვევი.

**ტოკიო,** 5 ოკდ. (რეიტ.). გამოცხადებულია მოხსენება, რომ რუსეთის ქვეითა ჯარის რაზმმა დილით, 3 ოკდომბერს შეუტია იაპონელთა მარჯვენა ჯარის ერთს ნაწილს, მაგრამ მოიგერიესო. ცვლილება ჯარში ჯერ არა მომხდარა-რა. იაპონიის მარცხენა ლაშქრის წინ რუსებს ისევ გუშინდელი სიმაგრენი უპირავთ. რუსნი ძლიერ ბლომად არიან ხუნხეს წინ და მეტადრე ჩვენის შუა-გულის ჯარის წინა. ცხადია, ჯარები უფრო გაუძლიერებიათ.

**ლონდონი,** 5 ოკდ. (რეიტ.). თიბეთლებს გამოუცხადებიათ, რომ სამს წელიწადში ვერ გადავიხდით იმ გადასახადს, რომელიც ხელ-შეკრულობით შემოგვაწერაო. საგულვებელია, რომ გადასახადი შემცირებულ იქმნება და ინგლისს ქუიბის ხეობა ექმნება ხელში 75 წელს 73 მაგიერ. ჩინეთის ამბანმა იმის მიზეზად, რომ ხელი არ მოაწერა ხელ-შეკრულობას, სთქვა, ჩინეთის უზენაესი უფლება საკმაოდ არ არის გამორკვეულიო. ჰგონებენ, ამბანმა აზრი შეიცვალა იმიტომ რომ ინსტრუქცია მოუვიდა პეკინიდან, ჩაგონებული იმ უცხოელთა გავლენით, რომელნიც მტრობენ ინგლისს. ვერას გზით ვერ დაიყოლიეს ჩინეთის რწმუნებული, რომ ხელი მოეწერა. თუ ჩინეთმა არ შეიწყნარა ინგლის თიბეთის მორიგება, მღელვარება გაჩნდება თიბეთში და მით გაადვილდება დაბრუნება დალაილამისა და დორჯიევისაო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ლეიტენ. სახაროვისა უმთავრესის შტაბის მიმართ 6 ოკდომბრის თარიღით: 5 ოკდომბრის ღამემ მშვიდობით გაიარა. მტერი ძლიერდება ლინშინპუსთან. ამ ღამესვე ერთის პოლკიდან შესდგა რაზმი და თავის ნებით წავიდა მამაცურად მტრისკენ საზვერავად, შტ.-კაპ. დემბოვსკის უფროსობით. რაზმმა უბრძოლველად იგდო ხელთ და მოიტანა ჩვენს ბინაზედ კიდევ ორი ზარბაზანი იაპონელთა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

**ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში** დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

## კაბებს

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **თეთრეულს, მეტკებს** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

**ჭრა-კერვის** კურსებზე მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

(4—344—4).

---

## „ცოდნა“-ს
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაში ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან. | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| სამი ზღაპარი . . . . . . . . | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| ვლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკ. | „—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1— ,, კ |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . | 2— ,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ |
| ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი . . . . . | 1—,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1— ,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, საბინისასა. . | 1—20 კ. |
| სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

---

ქუთაისში
ს. ზ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მაღალ. უმაღლესობას პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ამერიკულ ვაზის სანერგე
## კლდე-უბურული ქუთაისში

ისყიდება 1,000-ზედ მეტი სხვადასხვანაირი ხარისხის ვაზები. სანერგე ჰკისრულობს ფესვ-გადგმულ ვაზის დამყნას. მრავლადაა რქები დასამყნელი და დასარგავი. ფესვ-გადგმულ ვაზების გასხლვა და გიბრიდები გამოცდილია მრავალჯერ და ამნაირად დარგულ-დამყნილი ვაზი ძლიერა ჰხარობს.

საჭირო განმარტებანი და პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება პირველ მოთხოვნილებისამებრ.

---

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია. 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) აკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

---



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა, ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა,** 36—333

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—5—3)

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კალოშებისა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

## რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

**ს.-პეტერბურგში,**

დაარსებულს 1860 წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპოლდ ნიუშელერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისს** და ტაშკენტში.

(60—57).


Дозволено цензурою Тифлисъ 5 октября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи